

„დამტკიცებულია“
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 15.08.2022 №02-01/04 გადაწყვეტილებით
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, სხალთის მთავარეპისკოპოსი სპირიდონი

„განხილულია“
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების
ფაკულტეტის საბჭოს მიერ. ოქმი № 02-03-06/06. 11.08.2022 წ.

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების
ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

აკადემიური ხარისხი: განათლების მაგისტრი
პროგრამის მოცულობა: 300 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი რომან აბაშიძე

პროგრამის განხორციელების ვადები: 2020 -2026

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

პროგრამის დასახელება - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის შემუშავების და განახლების თარიღი - პროგრამა შემუშავებულია 2018-2019 წლებში, განახლებულია 2022 წელს
მოქმედების ვადა: 2020 წლიდან

დარგის პროფესია: პედაგოგიკა რეგულირებადი

პროფესიის დასახელება: დაწყებითი განათლების მასწავლებელი

სწავლის სფერო: კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს დეტალური სფერო: 0114 - მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალობით ISCED-F კოდი 011 განათლება (მასწავლებლის განათლება)

განათლების საფეხური: ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო.

კვალიფიკაციათა ჩარჩოს დონე: კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს VII დონე.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი (ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე საგნების I-IV კლასებში ქართულის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების. დამატებითი (ერთ-ერთის არჩევით) V-VI კლასები: ქართულის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, „ჩვენი საქართველოს“, „მე და საზოგადოება“-ის სწავლების უფლებით) კოდი 03.

პროგრამის ხანგრძლივობა (10 სემესტრი, კრედიტების რაოდენობა - 300 კრედიტი, 1 კრედიტი 125 საათი)

სწავლების ენა - ქართული

დასაქმების სფერო: კვალიფიკაციის შესაბამისად კურსდამთავრებულებს უფლება ექნებათ იმუშაონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაწყებითი საფეხურის უფროს მასწავლებლად, ასევე არაფორმალურ განათლებაში.

სპეციალური დამატებითი მოთხოვნები: არ არსებობს

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი და „ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდა 3 სავალდებულო საგანში და აირჩიოს მეოთხე გამოცდა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული საგნებიდან ერთ - ერთი.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე.

პროგრამაზე სწავლის უფლება შეიძლება მოიპოვოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტმა მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობითა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

პროგრამის მიზნები:

ა) მოამზადოს თეორიული ცოდნით, პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, პროფესიულ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობაში გაცნობიერებული უფროსი მასწავლებელი ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლების უფლებით შემდეგ საგნებში:

- I-IV კლასი - ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება (ძირითადი, სავალდებულო);
- V-VI კლასი დამატებითი (ერთ-ერთის არჩევით) - ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, “ჩვენი საქართველო“, „მე და საზოგადოება“.

ბ) პროგრამა ორიენტირებულია: თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობასთან დამაკავშირებელი უნივერსიტეტისა და სკოლის თანამშრომლობით განხორციელებულ საგანმანათლებლო საქმიანობაზე, რომელიც შეესაბამება დამსაქმებლის მოთხოვნებს;

გ) მოსწავლეზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლების ყველასათვის ხელმისაწვდომი მეთოდებისა და სტრატეგიული მიდგომების (მათ შორის რემედიაციის და ინტერკულტურული) დაუფლებასა და გამოყენებაზე

დ) პროგრამა დაეხმარება სტუდენტს თავისი პროფესიული შესაძლებლობა განავითაროს კვლევითი საქმიანობით. დაწეროს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი;

ე) კურსდამთავრებული შეძლებს პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძოს მომდევნო საფეხურზე - დოქტორანტურაში.

პროგრამა დაფუძნებულია დარგის მარეგულირებელ დოკუმენტებზე:

- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი 2019
- მასწავლებლის განათლების დარგობრივი მახასიათებელი- 2017
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ 2005
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2018
- საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ ცვლილებების თაობაზე 2018
- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები - 2005
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი 2020
- მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა
- პროექტ „თუნინგის შედეგები“ 2010
- ინჩიონის დეკლარაცია -განათლება - 2030
- მასწავლებლის მიერ განხორციელებული სავალდებულო აქტივობებისა და დამატებითი საქმიანობის შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტები - 2018
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის №390 დადგენილება - „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება 2021.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის ბრძანება N 83/წ.

პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა: 300 კრედიტი:

- თავისუფალი კომპონენტის მოდული 40 კრედიტი, მათ შორის სავალდებულო 35 კრედიტი, არჩევითი 5 კრედიტი
- საგნის / საგნობრივი ჯგუფის მოდული 90 კრედიტი, მათ შორის სავალდებულო 80 კრედიტი, არჩევითი 10 კრედიტი
- მასწავლებლის მომზადების მოდული 110 კრედიტი, მათ შორის სავალდებულო 90 კრედიტი, არჩევითი 20 კრედიტი
- სასკოლო პრაქტიკის მოდული 30 კრედიტი მათ შორის სავალდებულო 28 კრედიტი არჩევითი 2 კრედიტი
- პრაქტიკის კვლევის მოდული 30 კრედიტი, სავალდებულო 30 კრედიტი.

სასწავლო გეგმის სტრუქტურა - იხილეთ დანართი 1.

სასწავლო კურსის ფორმატი - კვირაში ძირითადად 30 საათი. პრაქტიკის და კვლევის კომპონენტები დაგეგმილია სპეციფიკური ფორმატით, საჭიროებების ანალიზის მიხედვით განისაზღვრება ზუსტი დრო, შესაბამის დეპარტამენტებთან შეთანხმებით.

საგანმანათლებლო საქმიანობის ფორმები:

- ლექცია, აქტიური ლექცია
- სასკოლო პრაქტიკა
- დისტანციური სწავლების სინქრონული და ასინქრონული ფორმები
- პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადება
- სემინარი (მცირე ჯგუფებში მუშაობა)
- კვლევითი სემინარი
- ვიზიტი სკოლაში
- პრაქტიკული მუშაობა
- კონსულტაციები, ინსტრუქტაჟი
- ვორკშოფი

სწავლება/სწავლის და კვლევის მეთოდები გამოიყენება მასწავლებელთა და სტუდენტთა მიერ. ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის მეთოდების შესწავლა ცალკე საგნადაც არის დაგეგმილი. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე მასწავლებელი მეთოდების მრავალფეროვნებიდან აკეთებს არჩევანს და მიუთითებს სილაბუსში. მეთოდების განმარტებები ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის. ზოგიერთი ჩამონათვალი არის შემდეგი:

- კონცეფციების, ცნებების, წესების და ა. შ. ზუსტი განმარტება;
- წერითი და ზეპირი დავალებები;
- ლიტერატურის მიმოხილვა, ანალიზი;
- მზარდი სირთულის მცირე მოცულობის კვლევის ჩატარება;
- დაკვირვება სასწავლო პროცესზე;
- დაკვირვება სააღმზრდელო პროცესზე;
- დაკვირვება კლასგარეშე საქმიანობაზე;
- ორიგინალური კვლევების ჩატარება;
- მოსწავლეებისა და სკოლის საჭიროების კვლევა;
- პროფესიულ უნარებში გავარჯიშება;
- ანგარიშების შედგენა და წარდგენა ;
- ზეპირი და წერითი პრეზენტაციები;
- სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა;
- შეხვედრებში, სემინარებში მონაწილეობა;

- მედიის სხვადასხვა ფორმის გამოყენება;
- საკუთარი სამუშაოს კრიტიკული შეფასება;
- ჯგუფის ლიდერობა ან წევრობა;
- კომპლექსური დავალებების შედგენა და გამოყენება.
- „ღია წიგნის გამოცდა“
- ამრეკლავი ჟურნალი
- პირდაპირი ტრანსლაცია

დამოუკიდებელი მუშაობის ფორმები:

ბიბლიოთეკაში მუშაობა, ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რიდერით სარგებლობა, ბიბლიოგრაფიის წაკითხვა და შექმნა. კლასიკური მონოგრაფიების, უახლესი სამეცნიერო მეთოდური სტატიების კითხვა, საეკლესიო ლიტერატურის წაკითხვა, ზეპირი და წერიტი ანგარიშების მომზადება, ინტერნეტ რესურსების მოძიება, პერიოდული დავალებების შესრულება.

სილაბუსში დამოუკიდებელი მუშაობის საათები გაწერილია თემების მიხედვით. გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ დახარჯული სამუშაო დროის მონიტორინგი და შესაბამისი ცვლილების შეტანა.

პროგრამის სწავლის შედეგები

(ფოკუსირებულია იმ ცოდნასა და უნარებზე, რომელიც ყოვლისმომცველი და ცენტრალურია პროგრამისთვის)

- I შედეგი** განზოგადებული სწავლის შედეგები
- II შედეგი** სასწავლი საგნის /საგანთა ჯგუფის საგნობრივი კომპეტენციები
- III შედეგი** პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება
- IV შედეგი** მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება
 - IV.1. შედეგი:** სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა.
 - IV.2. შედეგი:** სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შეფასება
- V შედეგი** პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.
- VI შედეგი** კვლევითი უნარების განვითარებით კვლევის დაგეგმვა და განხორციელება

პროგრამის სწავლის შედეგები

I შედეგი: განზოგადებული სწავლის შედეგი
(კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს VII დონის შესაბამისად)

№	ცოდნა და გაცნობიერება
1.1.	სწავლის ან/და საქმიანობის დროს ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრება, რომელიც მოიცავს სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ახალ; ორიგინალური იდეების განვითარებისთვის.
	უნარი
1.2.	უცნობ ან მულტიდისციპლინურ რთული, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდომების გამოყენებით.
1.3.	ინფორმაციის მართვა: სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, კრიტიკულად შეფასება, პროფესიული საქმიანობისათვის მისი გამოყენება. აქვს გარემოსთან ადაპტაციის უნარი „კოლექტივში“ პრაქტიკული მუშაობის ჩვევები სუბორდინაციის უნარი, აქვს დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის ვადების დაცვისა და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი.
1.4.	პრობლემის გადაჭრა/გადაწყვეტილების მიღება, დამოუკიდებლად კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება, ჩამოყალიბება, მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა, მოსალოდნელი შედეგები ანალიზი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.
1.5.	ჯგუფში მუშაობის უნარი, როგორც წევრის, ასევე ლიდერის, ამოცანების მკაფიოდ ფორმულირება, ჯგუფის წევრებთან შეთანხმება, მათი საქმიანობის კოორდინაცია და შესაძლებლობების ადეკვატურად შეფასება, კონფლიქტური და ფორსმაჟორული სიტუაციების მართვა.
1.6.	რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები
1.7.	საკუთარი დასკვნების არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული საზოგადოებისთვის, აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით
1.8.	დაკვირვების, მოსმენის, კითხვის დასმის, აგრეთვე არავერბალური კომუნიკაციის უნარი.
	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

1.9.	კომპლექსური, არაორგანიზებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუსაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით
1.10.	პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება
1.11.	საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა

II შედეგი: სასწავლო საგნის/საგანთა ჯგუფის საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება

ქართული ენა და ლიტერატურა

№	ცოდნა და გაცნობიერება
2.1.	იცის ფონეტიკა, მორფოლოგიის, სინტაქსის, მართლწერის ძირითადი საკითხები
2.2.	იცის ქართული და უცხოური საბავშვო ზეპირსიტყვიერების პროზაული და პოეტური ნაწარმოებების შინაარსი.
2.3.	იცის ფოლკლორის, ძველი, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ძირითადი ტექსტების შინაარსი, მწერალთა ბიოგრაფიები და შემოქმედება. ფოლკლორისა და ლიტერატურის მკვლევართა ბიოგრაფიული მოღვაწეობა.
2.2.4.	გაცნობიერებული აქვს ფოლკლორისა და ლიტერატურის მნიშვნელობა ქვეყნისათვის.
	უნარი
2.5.	შეუძლია სხვადასხვა ტიპის, სტილისა და ჟანრის ტექსტების გაანალიზება შინაარსობრივი, იდეური, ფუნქციური თვალსაზრისით.
2.6.	შეუძლია ტექსტებში ენობრივი გამომსახველობითი კატეგორიების, საშუალებების ამოცნობა, გაანალიზება. სხვადასხვა წყაროების მოძიება და გაანალიზება
2.7.	შეუძლია მხატვრული, ლიტერატურული ნაწარმოებების გამომეტყველებით კითხვა
	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
2.8.	შეუძლია მსჯელობა ქართულ ლიტერატურაში განფენილი ზნეობრივი

	ღირებულებების შესახებ
2.9.	შეუძლია ჩამოაყალიბოს თავისი დამოკიდებულებები ქართული ენათმეცნიერების, ზეპირსიტყვიერების, მწერალთა შემოქმედებითი ღვაწლის შესახებ ერის ისტორიაში
2.10.	შეუძლია გამოხატოს თავისი შეხედულებები ლიტერატურათმცოდნეობის წყაროების მიმართ, შეაფასოს საკუთარი ცოდნა
მათემატიკა	
№	ცოდნა და გაცნობიერება
2.11.	იცის რიცხვების ადეკვატური გამოყენება სხვადასხვა ასპექტში
2.12.	იცის მიმართულებაში „კანონზომიერება და ალგებრა“ შემავალი საკითხები
2.13.	იცის მიმართულებაში „გეომეტრია და რიცხვის აღქმა“ შემავალი საკითხები
2.14.	იცის მიმართულებაში „მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა“ შემავალი საკითხები
2.15.	იცის რიცხვთან დაკავშირებული პოზიტიური სისტემების გამოყენების საშუალებები
უნარი	
2.16.	შეუძლია სხვადასხვა ზომის ერთეულის ერთმანეთთან დაკავშირება და მათი გამოყენება
2.17.	შეუძლია ამოცანების, მაგალითების, განტოლებისა და წრფივი უტოლობის ამოხსნა და მათი გამოყენება.
2.18.	შეუძლია მონაცემთა მოპოვების ხერხების სათანადოდ შერჩევა და მათი გამოყენება
2.19.	შეუძლია მოქმედებების შესრულება მათ შორის რაციონალურ რიცხვებზე
2.20.	შეუძლია გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა, აღწერა, კლასიფიკაცია
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	
2.21.	აცნობიერებს მათემატიკური ანალიზის, მათემატიკის სწავლების მნიშვნელობის შემდგომი საფეხურის ხარისხიანად დამღვევისათვის.

2.22.	აცნობიერებს მათემატიკური ტერმინოლოგიის სწორად გამოყენების აუცილებლობას
ბუნებისმეტყველება	
№	ცოდნა და გაცნობიერება
2.23.	იცის ცოცხალი სამყარო და მასში მიმდინარე პროცესები
2.24.	იცის სამყაროში მიმდინარე ფიზიკური და ქიმიური მოვლენები
2.25.	იცის დედამიწა და გარესამყარო
2.26.	იცის ადამიანისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულება
უნარი	
2.27.	შეუძლია მეცნიერული ტერმინოლოგიის გამოყენება და წერითი და ზეპირი სახით
2.28.	შეუძლია პრაქტიკულ - ლაბორატორიული სამუშაოებთან დაკავშირებული რისკ ფაქტორების გაანალიზება და მათი პრევენცია
2.29.	შეუძლია მიღებული ცოდნის ჯანმრთელობასთან, პირად ჰიგიენასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირება
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	
2.30.	აცნობიერებს ეკოლოგიურ პრობლემებს მდგრადი განვითარების მიზნებთან მიმართებაში
2.31.	აცნობიერებს ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირებაზე ზრუნვის აუცილებლობას
საქართველოს ისტორია	
№	ცოდნა და გაცნობიერება
2.32.	იცის საქართველოს ისტორიის ძირითადი წყაროები
2.33.	გაცნობიერებული აქვს ფაქტებისა და მოვლენების ინტერპრეტაცია დროსა და სივრცეში ორიენტირებისათვის
2.34.	იცის საქართველოს ისტორიული პერიოდიზაციის ძირითადი საკითხები

უნარი	
2.35.	შეუძლია სამშობლოს ისტორიისა და კულტურის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების გამოხატვა დასაბუთება
2.36.	შეუძლია ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგიურ ჭრილში გააზრება და გადმოცემა. მათი დაკავშირება თანამედროვე სოციალურ - კულტურული გარემოსა და კულტურულ მემკვიდრეობასთან
2.37.	შეუძლია ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება, ქვეყნის განვითარებაში პიროვნების როლის გაცნობიერება
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	
2.38.	შეუძლია გამოხატოს თავისი დამოკიდებულება წარსულისა და თანამედროვეობის ამსახველი სხვადასხვა საშუალებებით მოცემული ისტორიულ - გეოგრაფიული ინფორმაციის მიმართ
2.39.	შეუძლია დაასაბუთოს ქართველი ერის განვითარებაში ქრისტიანული სარწმუნოების როლი და მნიშვნელობა
ესთეტიკური აღზრდა	
№	ცოდნა და გაცნობიერება
2.40.	იცის ხელოვნების და მუსიკის ძირითადი ელემენტები, პრინციპები, მხატვრული სტილი და მიმდინარეობები
2.41.	იცის საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის ისტორია სხვადასხვა კუთხის თავისებურებები სახვით და ამოყენებით კულტურასა და მუსიკალურ ხელოვნებასთან მიმართებაში
2.42.	იცის თანამედროვე ტექნიკა, კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან მიმართებაში, დეკორატიული გამოყენებითი საგნების დამზადების ტექნიკა
უნარი	
2.43.	შეუძლია ხელოვნების დარგებისა და ნიმუშების შესახებ კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია
2.44.	შეუძლია მსჯელობა ხელოვნების, მუსიკალური ნაწარმოების იდეის, შინაარსის, დანიშნულების, ფუნქციის შესახებ.
2.45.	შეუძლია სათანადო ტერმინოლოგიის გამოყენება და განმარტება

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	
2.46.	აცნობიერებს კულტურული მემკვიდრეობის გაცნობაში საეკლესიო მასალებს, სამუზეუმო გამოფენებს, ექსპონატების გაცნობის მნიშვნელობას და საკუთარი დამოკიდებულებების ჩამოყალიბების აუცილებლობას
2.47.	აცნობიერებს ხალხური ხელოვნების (ქარგვა, ხეზე კვეთა, ქსოვა) მნიშვნელობას ერის კულტურის განვითარებაში, და გამოხატავს თავის დამოკიდებულებას

III შედეგი: პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება

№	ცოდნა და გაცნობიერება
3.1.	იცის როგორ შექმნას მოსწავლეებისთვის სასწავლო გარემო - ფიზიკური, სოციალურ - ემოციური და კოგნიტური.
3.2.	იცის როგორ შექმნას ინკლუზიური სწავლისა და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო.
3.3.	იცის კლასის მართვისა და კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ეფექტიანი სტრატეგიები.
3.4.	იცის სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ხელშეწყობი ძირითადი ფაქტორები და ცნობიერებს თანამშრომლობითი გარემოს მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.
უნარი	
3.5.	შეუძლია შექმნას დადებითი სასწავლო გარემო მოსწავლეების ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროების, მათი კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით და ხელი შეუწყოს თითოეული მოსწავლის ინტეგრაციასა და მათ მოტივაციას.
3.6.	შეუძლია უსაფრთხო თავისუფალი სასწავლო გარემოს შექმნა თითოეული მოსწავლის პიროვნული, სოციალურ - ემოციური და კოგნიტური განვითარებისთვის. შეუძლია სსსმ მოსწავლეების ინტეგრირება სასწავლო გარემოში სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე.
3.7.	შეუძლია კლასის მართვა კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების გაანალიზება და ადეკვატური რეაგირება/
3.8.	შეუძლია მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან, თემთან ეფექტური კომუნიკაცია კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარებისთვის.
3.9.	შეუძლია მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ხელშეწყობის ხელშეწყობა შესაბამისი

	სტრატეგიების გამოყენებით, მათი ინდივიდუალური განსხვავების გათვალისწინებით.
3.10.	შეუძლია მოსწავლეებთან, კოლეგებთან, თემთან ეფექტური კომუნიკაცია და თანამშრომლობა
3.11.	შეუძლია მშობელთა (სხვა კანონიერ წარმომადგენლებთან) ჩართულობის ხელშეწყობა მოსწავლეთა გააზრებულად სწავლისთვის
	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
3.12.	აცნობიერებს განათლების ინკლუზიურობისა და მოსწავლეთა მოტივაციის მნიშვნელობას პოზიტიური, უსაფრთხო, კონფლიქტებისაგან თავისუფალი სასწავლო გარემოს შექმნისთვის.
3.13.	აცნობიერებს მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან, თემთან თანამშრომლობის მნიშვნელობას უსაფრთხო (ფიზიკური, სოციალური და ემოციური) სასწავლო გარემოს ფორმირებისათვის.

IV შედეგი: მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება

I სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა	
№	ცოდნა და გაცნობიერება
4.1.	იცნობს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, (ე.ს.გ) ეროვნულ სასწავლო გეგმას
4.2.	იცის ზოგადი განათლების ჩარჩო დოკუმენტებზე დაყრდნობით მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა
4.3.	იცის საგანმანათლებლო ბეჭდური და ICT რესურსების მოძიება, შექმნა და სასწავლო პროცესში მიზნობრივად გამოყენება.
4.4.	იცის პიროვნების განვითარებისა და განათლების ძირითადი თეორიები, აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის წარმართვისას.
4.5.	იცნობს მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური და სოციალურ - ემოციური უნარების განვითარების ძირითად მიდგომებს
4.6.	იცის სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული სტრატეგიები და მათი გამოყენების პერსპექტივები.

4.7.	იცის მდგრადი განვითარების მიზნები და პრინციპები
4.8.	აცნობიერებს მდგრადი განვითარების პრინციპების სწავლის მნიშვნელობას პიროვნების ჩამოყალიბებაში, სოციალური და ბუნებრივი გარემოსადმი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის აღზრდაში.
4.9.	აცნობიერებს კლასგარეშე საქმიანობის როლსა და მნიშვნელობას მოსწავლეთა მოტივაციის, სწავლის და მრავალმხრივი განვითარებისთვის.
	უნარი
4.10.	შეუძლია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ე.ს.გ. სკოლის პრიორიტეტისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შემუშავება.
4.11.	შეუძლია გაკვეთილის დაგეგმვა ყველა კომპონენტის და მათ შორის კავშირის გათვალისწინებით დაგეგმვისას შეუძლია შიდა საგნობრივი და საგანთაშორისი კავშირის გათვალისწინება. შეუძლია თემატური მატრიცის შედგენა და გამოყენება.
4.12.	შეუძლია სხვადასხვა სპეციალისტების ჩართულობით სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება
4.13.	შეუძლია მოიძიოს, შეარჩიოს, შექმნას და გამოიყენოს დამხმარე რესურსები და ICT ტექნოლოგიები ე.ს.გ მიზნებისა და კონკრეტული კლასის მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით.
4.14.	შეუძლია მოსწავლეებში ციფრული მოქალაქეობის უნარის განვითარება.
4.15.	შეუძლია პიროვნების განვითარებისა და განათლების თეორიების ცოდნის ეფექტურად გამოყენება სასწავლო პროცესში.
4.16.	შეუძლია მოტივაციის ამალღების სტრატეგიების ეფექტიანად შერჩევა მოსწავლეთა ინდივიდუალურ პროგრესზე დაკვირვებით და მათი ინტერესების გათვალისწინებით.
4.17.	შეუძლია მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური და სოციალურ ემოციური უნარების განვითარების ხელშეწყობა მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.
4.18.	შეუძლია მიზნობრივად გამოიყენოს სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები
4.19.	შეუძლია სწავლების პროცესში მდგრადი განვითარების პრინციპების სასწავლო თემებში ინტეგრირება
4.20.	შეუძლია კლასგარეშე საქმიანობის (კლუბის, სოციალური პროექტების) დაგეგმვა მოსწავლეთა ინტერესებისა

	და შესაძლებლობების გათვალისწინებით.
	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
4.21.	აცნობიერებს, რომ ზოგადი განათლების ჩარჩო დოკუმენტები და განათლების მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნა მის პედაგოგიური საქმიანობის ამოსავალია. მისთვის მნიშველოვანის თითოეული მოსწავლე, როგორც პიროვნება.
4.22.	სწამს რომ დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს როგორც მოსწავლეთა მოტივაციის ზრდის, მის პიროვნულ კოგნიტურ განვითარებას, ასევე მათ ინტეგრაციას სასკოლო საზოგადოებაში.
II სასწავლო პროცესის და მოსწავლეთა შეფასება	
№	ცოდნა და გაცნობიერება
4.23.	იცის მოსწავლის შეფასება ე.ს.გ მიმართულებით. იცის შეფასების ტიპები, პრინციპები, მეთოდები იცის როგორ გაანალიზოს შეფასების შედეგები
4.24.	იცის შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და რუბრიკების შედგენის ძირითადი პრინციპები.
	უნარი
4.25.	შეუძლია მოსწავლეთა შეფასების მეთოდების მიზნობრივი გამოყენება თითოეული მათგანის მიღწევისა და პროგრესის შესაფასებლად, მათ შორის კომპლექსური დავალების შესრულება.
4.26.	შეუძლია განმავითარებელი შეფასების ეფექტიანად გამოყენება თითოეული მოსწავლის კოგნიტური და პიროვნული განვითარებისთვის .
	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
4.27.	შეუძლია შეფასების სქემებისა და რუბრიკების შედგენა, მათზე დაყრდნობით მოსწავლეთა ობიექტური შეფასება.

V შედეგი: პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

№	ცოდნა და გაცნობიერება
5.1.	იცის პროფესიული განვითარების ძირითადი პრინციპები, ფორმები, გზები

5.2.	იცნობს განათლების მეცნიერების კვლევის მეთოდებს და მათი გამოყენების შესაძლებლობებს, ტენდენციებს. აცნობიერებს, რომ განათლების მეცნიერება და პრაქტიკაში დაგროვილი ცოდნა მისი პედაგოგიური საქმიანობის ამსახველია
5.3.	იცის პრაქტიკის კვლევის სპეციფიკა, წარმართვის თავისებურებები.
5.4.	აცნობიერებს კვლევის შედეგების გამოყენების მნიშვნელობას, საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში
	უნარი
5.5.	შეუძლია თვითშეფასების, კოლეგებისაგან, დირექციისაგან, მოსწავლეებისაგან, მშობლებისგან მიღებული უკუკავშირისა და მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზის საფუძველზე საკუთარი პრაქტიკის კომპლექსური, თანმიმდევრული და კრიტიკული ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და პროფესიული განვითარების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.
5.6.	შეუძლია კვლევების დაგეგმვა, შესაბამისი ინსტრუმენტის შექმნა და მოძიება, განხორციელება ან/და მოსწავლეთა კვლევის პროექტებში ჩართვა
5.7.	ეუძლია სასკოლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე პრობლემის/საჭიროების იდენტიფიცირება, ანალიზი, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და მათი ეფექტიანობის შეფასება.
5.8.	აქვს უნარი, მოიძიოს და გამოიყენოს განათლების მეცნიერების ახალი ცოდნა, ტენდენციები და თანამედროვე კვლევები საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სასკოლო პრაქტიკის სრულყოფისათვის.

VI შედეგი: კვლევითი უნარების განვითარებით დაგეგმვა და განხორციელება

№	ცოდნა და გაცნობიერება
6.1.	იცნობს განათლების მეცნიერების კვლევის მეთოდებს და მისი გამოყენების შესაძლებლობებს, აცნობიერებს კვლევის მეთოდების გამოყენების აუცილებლობას ინოვაციებისა და ახალი ორიგინალური იდეების განვითარებისთვის.
	უნარი (პრაქტიკული და კვლევითი უნარები)
6.2.	შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს და ჩაატაროს კვლევა, რომლითაც დარგობრივ სფეროში ახალი მიღწევების შემუშავებას - განვითარებას შეუწყობს ხელს.
6.3.	შეუძლია მოიძიოს და გამოიყენოს განათლების მეცნიერებაში ახალი ცოდნა, უახლესი კვლევები, ნიმუშები და გააკეთოს

	კრიტიკული ანალიზი
6.4.	შეუძლია სხვადასხვა მონაცემების გაანალიზება, შეჯამება, კომბინირება, გაგება კვლევის ამოცანების საფუძველზე
6.5.	შეუძლია პირველი კურსიდან განხორციელებული კვლევითი აქტივობების შედეგების გამოყენება საჭიროების მიხედვით
6.6.	შეუძლია კრიტიკულ დიალოგში ჩართვა, კვლევის და ინოვაციების შესახებ კომუნიკაცია კოლეგებთან და დაიმტერესებულ პირებთან, ნაშრომის საინტერესო მიგნებების შესახებ სტატიის გამოქვეყნება, კონფერენციებში მონაწილეობა
6.7.	აქვს მრავალფეროვან კონტექსტში საგანმანათლებლო პრობლემების დანახვის, ანალიზის, შეფასებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების უნარი
6.8.	შეუძლია საზოგადოების წინაშე სამაგისტრო ნამუშევრის პრეზენტაცია და დაცვა
6.9.	აქვს თვითკრიტიკული აზროვნების უნარი. შეუძლია წარმოადგინოს ალტერნატივა და განავითაროს დამაჯერებელი დასკვნა
	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
6.10.	შეუძლია აიღოს პასუხისმგებლობა შესრულებულ სამუშაოზე. მიიღოს კრიტიკა და შენიშვნები. გამოხატოს ორიგინალური შეხედულებები მათი დაძლევის შესახებ, ამასთან დაიცვას თავისი კვლევის შედეგები.
6.11.	ასაბუთებს კვლევის შედეგების გამოყენების მნიშვნელობას პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანისთვის.
6.12.	ეფექტურად გეგმავს და იცავს შესაბამისი პრეზენტაციით მოხსენებით გამოსვლის დროს.

პროგრამის მიზნებსა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა

პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგი I	პროგრამის სწავლის შედეგი II	პროგრამის სწავლის შედეგი III	პროგრამის სწავლის შედეგი IV	პროგრამის სწავლის შედეგი V	პროგრამის სწავლის შედეგი VI
ა	✓	✓	✓	✓	✓	✓
ბ	✓	✓			✓	✓
გ	✓			✓	✓	
დ	✓				✓	✓
ე	✓	✓	✓	✓	✓	✓

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია

სწავლის შედეგები	სწავლის შედეგების ინდიკატორების ჩამოყალიბების საფუძველი	სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობები		
		კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის დანართი №2	სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების დემონსტრირება სტუდენტის მიერ	შეფასების ფორმები
I	კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს VII დონის მიერ განსაზღვრული „განზოგადებული სწავლის შედეგები“ და დარგობრივი მახასიათებლიდან შინაარსობრივად განსხვავებული „ზოგადი კომპეტენციები“	იხილეთ I შედეგის ინდიკატორები	აქტივობები, დავალებები, კვლევები. იხილეთ სასწავლო კურსების სილაბუსებში გრაფა „სწავლის შედეგები“	განმავითარებელი და განმსაზღვრელი იხილეთ სასწავლო კურსის სილაბუსებში
II	მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისი საგნობრივი ნაწილი	II შედეგის	აქტივობები, დავალებები, კვლევები. იხილეთ სასწავლო	განმავითარებელი და განმსაზღვრელი

		ინდიკატორები	კურსების სილაბუსებში გრაფა „სწავლის შედეგები“	იხილეთ სასწავლო კურსის სილაბუსებში
III	მასწავლებლის განათლების დარგობრივი მახასიათებლის I კომპეტენციის სფერო	III შედეგის ინდიკატორები	აქტივობები, დავალებები, კვლევები. იხილეთ სასწავლო კურსების სილაბუსებში გრაფა „სწავლის შედეგები“	განმავითარებელი და განმსაზღვრელი იხილეთ სასწავლო კურსის სილაბუსებში
IV	მასწავლებლის განათლების დარგობრივი მახასიათებლის II კომპეტენციის სფერო	IV-1 და IV-2 შედეგების ინდიკატორები	აქტივობები, დავალებები, კვლევები. იხილეთ სასწავლო კურსების სილაბუსებში გრაფა „სწავლის შედეგები“	განმავითარებელი და განმსაზღვრელი იხილეთ სასწავლო კურსის სილაბუსებში
V	მასწავლებლის განათლების დარგობრივი მახასიათებლის III კომპეტენციის სფერო	V შედეგის ინდიკატორები	აქტივობები, დავალებები, კვლევები. იხილეთ სასწავლო კურსების სილაბუსებში გრაფა „სწავლის შედეგები“	განმავითარებელი და განმსაზღვრელი იხილეთ სასწავლო კურსის სილაბუსებში
VI	კომპლექსური: განზოგადებული სწავლის შედეგები, დარგობრივი მახასიათებლები, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი.	VI შედეგის ინდიკატორები	კონფერენციის მოხსენება, სტატია, კვლევის ანგარიში, სამაგისტრო ნაშრომის დაცვა	უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

სწავლის შედეგების მიღწეული დონის შეფასების მექანიზმი და პერიოდულობა

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხის შეფასების ფორმები:

ა) პირდაპირი მტკიცებულება (ტესტები, სიტუაციათა გარჩევები, ქვიზები, კვლევითი შედეგების აღწერა, პრეზენტაციები, პროექტები, პედაგოგიური ესე, ზეპირი თხრობა, სასკოლო პრაქტიკის პორტფოლიოები და სხვა)

ბ) არაპირდაპირი მტკიცებულებები: დასაქმების მაჩვენებელი, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ინტერვიუები, სტუდენტთა ჩართულობა ტრენინგებში, მოსწავლეთა კონფერენციებში, მოქმედ მასწავლებელთა მიერ განხორციელებულ კვლევებსა და აქტივობებში.

გ) ერთი და იმავე შედეგის სხვადასხვა კურსში მიღწეული შედეგის გაზომვა შემდეგი პროცედურებით: წინარე სასწავლო კურსის მასწავლებელი აღწერს რა დონით არის შედეგი მიღწეული და განათავსებს პროგრამის კომპიუტერში. მომდევნო კურსის მასწავლებელი გაეცნობა და ითვალისწინებს შედეგის განვითარების დონეს ან სასწავლო კურსის დასაწყისში სტუდენტი თვითშეფასებით გააკეთებს ანალიზს, დაწერს რა დონეზე მიაღწია შედეგს და რისი განვითარება დაჭირდება.

დ) სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა:

პროგრამის I, II, III, IV, V სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგი და შეფასება ჩატარდება: სასწავლო წლის დასაწყისში, I სემესტრის ბოლოს, მეორე სემესტრის დასაწყისში და სასწავლო წლის ბოლოს. დასაშვებია საჭიროების შემთხვევაში პერიოდულობაში ცვლილების შეტანა.

შეფასებისათვის სასურველია გამოყენებულ იქნას მახასიათებლები: „კარგი“, „შესანიშნავი“, „საჭიროებს გაუმჯობესებას“. შეფასება ჩატარდება ლექტორის, სტუდენტისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანამშრომლობით.

VI სწავლის შედეგი შეფასდება III, IX, X სემესტრების შემდეგ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანამშრომლობით, მათ მიერვე განისაზღვრება შეფასების მახასიათებლები.

ე) სწავლის შედეგის შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, შედეგი მიმართულებით:

- ცვლილება კურსის შინაარსის მოთხოვნებში, სტრუქტურებსა და წინაპირობებში
- ცვლილებები სწავლის შედეგების მახასიათებლებში ინდიკატორებში
- ცვლილებები შედეგების შეფასების ფორმებსა და მეთოდებში
- ცვლილებები რესურსებში

ვ) შეფასების კულტურა

- შეფასების ESTS სისტემა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- წახალისება იმ მასწავლებლების, რომელთაც სწავლის შედეგების მიღწევაში აქვთ წარმატება
- საქმიანი შეხვედრებისა და ტრენინგების ორგანიზება შეფასების ფორმებსა და მეთოდებთან დაკავშირებით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

1. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

2. სტუდენტის სემესტრული მუშაობა თითოეულ საგანში ფასდება 100 ქულით, რომელიც მიიღება მეცადინეობებზე სხვადასხვა აქტივობით: სემინარულ/პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობით, რეფერატების, პრეზენტაციების, შუალედური შეფასებების, დასკვნითი/ფინალური გამოცდების და სასწავლო კურსით გათვალისწინებული სხვა შედეგების საფუძველზე.

3. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება წარმოადგენს ამავე სასწავლო კურსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, რაც იყოფა ორ ნაწილად და გულისხმობს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს.

4. სასწავლო კურსის 100 ქულიანი შეფასებიდან შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნით გამოცდას 40 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებები შედგება შეფასების კომპონენტებისაგან, რომლებიც აერთიანებს ზეპირი ან/და წერიტი სახის გამოკითხვებს, გამოცდებს, პრაქტიკულ და თეორიულ სამუშაოებს. სტუდენტის შეფასება ხდება შეფასების რამდენიმე კომპონენტის გამოყენებით, რომლებიც დეტალურად გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

5. შუალედური შეფასება მოიცავს: შუალედურ გამოცდას – 20 ქულა. შუალედური გამოცდის რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსის მოთხოვნების გათვალისწინებით. მიმდინარე შეფასებებს – 40 ქულა. მიმდინარე შეფასებები შეიძლება განხორციელდეს წერიტი ან/და ზეპირი ფორმით, გარდა წერიტი და ზეპირი შეფასებისა, კურსის საჭიროების შესაბამისად, შეიძლება გამოყენებული იყოს შეფასების სხვა მეთოდი.

6. შეფასების ცალკეული კომპონენტის შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი განისაზღვრება ცალკეული სასწავლო კურსის – საგნის სილაბუსით, სადაც დაცული უნდა იყოს შემდეგი მინიმალური მოთხოვნები:

- ა) მიმდინარე შეფასების თითოეული წერიტი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით;
- ბ) მიმდინარე შეფასების თითოეული ზეპირი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 5 ქულით.

7. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულაა. მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ზრდა დასაშვებია ცალკეულ სასწავლო კურსში, წინასწარი შეთანხმების გზით.

8. სტუდენტის მუშაობა ფასდება შემდეგი სქემით:

დადებითი შეფასებები:

- ა) A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა;
- ბ) B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;
- გ) C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;
- დ) D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა;

ე) E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

უარყოფითი შეფასებები:

ვ) FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ზ) F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი.

9. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
10. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
11. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და ზეპირი სამაგისტრო დაცვა - სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით (კრიტერიუმები: ლოგიკა, არგუმენტაცია, მსჯელობა – 30 ქულა, ნაშრომის არქიტექტონიკა – 20 ქულა, გადმოცემის უნარი – 15 ქულა, სიახლე – 10 ქულა, დისკუსიაში ჩართვა – 15 ქულა, საპრეზენტაციო მასალის გამოყენება – 10 ქულა). მისი გაფორმების, წარდგენისა და დაცვის პროცედურები განსაზღვრულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად.

ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებით განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანლის შერჩევისა და ვალდებულებების წესი.

შეფასების ფორმები და მეთოდები: გამოყენებულია უწყვეტი შეფასების სისტემა, როცა სტუდენტის მუშაობა ფასდება მთელი კურსის განმავლობაში და რა მხოლოდ საბოლოო გამოცდაზე.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტი ასრულებს აქტივობებს, რომლებიც ფასდება განმავითარებელი შეფასებით (კომენტარი, რჩევა, რეკომენდაცია), შეფასების გამჭვირვალობის მიზნით მიმდინარე შეფასება 40 ქულის ფარგლებში შეფასდება განმსაზღვრელი შეფასებით. შესაბამისი კრიტერიუმები ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებულია დანართის სახით.

ასევე განსაზღვრულია შუალედური და საბოლოო გამოცდების კრიტერიუმები.

შედგენილია შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების კატალოგი. მასწავლებელი თავად აკეთებს არჩევანს. განსაკუთრებით სპეციფიკურია პრაქტიკისა და კვლევის შეფასება, რომელიც ჩამოყალიბებულია შესაბამისი სილაბუსში თემის მიხედვით. დავასახელებთ ზოგიერთს: ჩვენება, მოდელის შექმნა, დაგეგმვა, ალტერნატივებს შორის ამორჩევა, ესეს დაწერა, პრობლემის გადაჭრა, თვალსაზრისის ჩამოყალიბება, ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოდგენა, შემაჯამებელი პროექტის შესრულება, კურსის საბოლოო თეზისის დაწერა, ტესტირება, ქვიზები, ქეისის შეფასება, კვლევის ანგარიშის შედგენა და წარდგენა, კვლევის პროცესის აღწერა, თვითშეფასება, რეფლექსია.

შეფასება გამოიყენება ცოდნის (რა იცის სტუდენტმა), უნარების (რა შეუძლია გააკეთოს), როგორ გამოიყენებს (დამოკიდებულებები ცოდნისა და უნარების დამოუკიდებლად შესრულება) შესაფასებლად, ამგვარი მიდგომით უკეთ ვლინდება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების, კომპეტენციების მიღწევის ხარისხი. იგი საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაიუმჯობესონ მიღწეული შედეგები.

ინდივიდუალური მუშაობის შეფასება:

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის შეფასება მოხდება, ისე როგორც პროგრამის სისტემა ითვალისწინებს, ოღონდ შეფასება წარმართება სტუდენტის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მიღწეული შედეგების შეფასებისათვის. შეიქმნება ინდივიდუალური საგამოცდო პროგრამა. თუ ჯანმრთელობის მდგომარეობით სტუდენტს დასჭირდება ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია, შემუშავდება ინდივიდუალური გეგმა და შესაბამისი შეფასების ფორმები.

პროგრამის განხორციელებაზე მონიტორინგი და შეფასება

პროგრამის განხორციელებაზე დაგეგმილია მონიტორინგი სხვადასხვა მიმართულებით

I სტუდენტების ჩართულობით:

- ა) გამოკითხვა - რამდენად უწყობს ხელს სილაბუსის გაცნობა სასწავლო კურსის წარმატებული შედეგის მიღწევაში
- ბ) რამდენად სწორად არის დაგეგმილი დრო საგანმანათლებლო საქმიანობასთან მიმართებაში. ლექცია - აქტივობები - დამოუკიდებელი მუშაობა - შეფასება: ა) სილაბუსში დაგეგმილი დრო ბ) სტუდენტის მიერ რეალურად დახარჯული დრო მონიტორინგის შედეგების შესაბამისად დროის განაწილებაში ცვლილებების შეტანა.
- გ) სასკოლო პრაქტიკის გარემოს შეფასება - ა) პრაქტიკის დაწყებამდე მასწავლებლების მიერ ბ) პრაქტიკის პერიოდში სტუდენტების მიერ

II კურსდამთავრებულთა კმაყოფილება/უკმაყოფილების კვლევა

კვლევის ანალიზის გათვალისწინება პროგრამაში დამსაქმებლების ჩართულობა: თანამშრომლობა, შეხვედრების შედეგები, ინფორმაციის დროული მიწოდება საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ.

III ხარისხის სამსახურის მიერ

- ა) რამდენად ეფექტურია კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსების შედეგებს შორის
- ბ) როგორია დაბალანსება - სასწავლო დატვირთვა, სწავლის, სწავლებასა და შეფასების კომპონენტებს შორის
- დ) სტუდენტთა აკადემიური მოსწრება მისაღწევს სწავლის შედეგებთან მიმართებაში

IV პროგრამის ხელმძღვანელის მიერ

- ა) რაში გამოიხატება ზრუნვა აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის
- ბ) რა პირობებია შექმნილი პროგრამის შიგნით წარმატებული გამოცდილების აღიარებისათვის

პროგრამის განახლების და შემოწმების სისტემა

შემოწმება განხორციელდება სქემით - მონიტორინგი - შედეგების ანალიზი - დახმარება - შედეგი.

განახლება:

- ა) მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე ცვლილებების შეტანა
 - ბ) საგანმანათლებლო კანონმდებლობაში მიღებული ახალი დოკუმენტების საფუძველზე ცვლილების შეტანა
- განახლების შესახებ ინფორმაციის განთავსება საჭიროებისამებრ.

სტუდენტთა მხარდაჭერა

- ა) საჭიროების მიხედვით დამატებითი კონსულტაციები მათთვის მისაღებ დროს
- ბ) კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება
- გ) სოციალური დახმარება (უფასო ოთხჯერადი კვება და სხვა)
- დ) სტიპენდიები წარმატებული სწავლისათვის
- ე) თავის უკმაყოფილების გასაჩივრების უფლება იმასთან, ვისაც თვითონ ჩათვლის საჭიროდ

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობების რესურსები

- ელექტრონული ბიბლიოთეკა ინტერნეტით
- საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა
- უნივერსიტეტში არსებული საინფორმაციო კომპიუტერული კაბინეტი ინტერნეტით
- პარტნიორი სკოლები, რომელთანაც უნივერსიტეტს დადებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი
- ბიოლოგიის ლაბორატორია
- სამუსიკო აუდიტორია - სათანადო ინსტრუმენტებით
- სპორტული დარბაზი სათანადო აღჭურვილობით
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სახელოსნო
- აჭარის მუზეუმთა გაერთიანებასთან თანამშრომლობის მემორანდუმი.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი

- რომან აბაშიძე - განათლების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, მენტორი მასწავლებელი;
 - ხათუნა ხალვაში - განათლების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, მენტორი მასწავლებელი;
 - აკაკი ზოიძე - განათლების დოქტორი, პროფესორი;
 - ნოდარ ბასილაძე - პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
 - სამონაზუნე ბარბარე (ც. მეგრელაძე) - პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
 - გურანდა კუკულაძე - ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.
- ხათუნა ტოტოჩავა - ბიოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, მენტორ მასწავლებელი;

ამავე ფაკულტეტიდან მოწვეულები

- ნონა შუმანიძე - ხელოვნების დოქტორი, პროფესორი, მენტორი მასწავლებელი;
- ელზა ფუტკარაძე - პროფესორი;
- ლელა კუკულაძე - ასოცირებული პროფესორი;
- ეთერ დიასამიძე - ასოცირებული პროფესორი;
- შოთა როდინაძე - უცხო ენა (ინგლისური), დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;
- ნაილა ჩელებაძე - ისტორიის დოქტორი, პროფესორი, უფროსი მასწავლებელი.

სხვა ფაკულტეტიდან მოწვეულები

- გივი ჭუმბურიძე - მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი, უფროსი მასწავლებელი.
- თეა ხინთიბიძე - ფსიქოლოგიის დოქტორანტი;
- ნათია ბერიძე - პროფესორი;

მოწვეული სპეციალისტები

- გელა ვადაჭკორია - მუსიკის სპეციალისტი;
- მაყვალა გოგიტიძე - ექიმი, სასკოლო ჰიგიენა;
- ინეზა ფუტკარაძე - ჟურნალისტიკის მაგისტრი.
- ცისნამი ბერიძე - დოქტორანტი, უფროსი მასწავლებელი

პრაქტიკის ხელმძღვანელი

პრაქტიკის ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი მასწავლებლები მემორანდუმით გაფორმებული სკოლებიდან შეირჩევა სტატუსის მიხედვით - უფროსი, წამყვანი ან მენტორი, პრაქტიკის ხელმძღვანელ ან თანახელმძღვანელ მასწავლებელთა არჩევის წესის შესაბამისად.

სასწავლო გეგმა

N	სასწავლო კურსის დასახელება	ESTS კრედიტები	სტატუსი	სტუდენტის სამუშაო დრო საათებში			დაშვების წინაპირობა	სემესტრები																			
				სააუდიტორო	დამოუკიდებელი	მსოფლიო		შეფასება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X									
თავისუფალი კომპონენტის მოდული. 40 კრედიტი: სავალდებულო - 35, არჩევითი - 5																											
1	ინგლისური ენა	10	სავალდებულო	100	140	10	ენის ფლობის - B1 - B2 დონე		10																		
2	ინგლისური ენა	5	სავალდებულო	50	70	5	ენის ფლობის - A1 - A2 დონე	5																			
3	შესავალი ფილოსოფიაში	5	სავალდებულო	50	70	5						5															
4	ზოგადი ფსიქოლოგია	5	სავალდებულო	50	70	5		5																			
5	აკადემიური წერა	5	სავალდებულო	50	70	5						5															
6	საოფისე კომპიუტერული ტექნოლოგიები	5	სავალდებულო	50	67	8				5																	
7	ლოგიკა	5	არჩევითი	45	77	3												5									
8	განათლების ადმინისტრირება	5	არჩევითი	50	70	5												5									
9	ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება	5	არჩევითი	50	70	5												5									

საგნის/საგნობრივი ჯგუფის მოდული 90 კრედიტი, სავალდებულო 80 . არჩევითი 10

10	ქართული ენა	10	სავალდებულო	100	142	8		10									
11	ქართული ფოლკლორი	5	სავალდებულო	50	70	5			5								
12	ძველი ქართული ლიტერატურა	5	სავალდებულო	50	70	5					5						
13	ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურა	10	სავალდებულო	105	140	5	ძვ. ქართული ლიტერატურა				10						
14	ქართული და საზღვარგარეთი საბავშვო ლიტერატურა	5	სავალდებულო	50	70	5							5				
15	მათემატიკა I. (I - IV კლ.)	10	სავალდებულო	105	135	10				10							
16	მათემატიკა II. (I - IV კლ.)	10	სავალდებულო	105	135	10	მათემატიკა I				10						
17	ბუნებისმეტყველება I მეცნიერული საფუძვლები	10	სავალდებულო	105	135	10						10					
18	საქართველოს ისტორია I	5	სავალდებულო	105	135	10			5								
19	ხელოვნების ისტორია	5	სავალდებულო	50	70	5				5							
20	ბუნებისმეტყველება II მეცნიერული საფუძვლები	5	არჩევითი	50	68	7	ბუნებისმეტყველება I						5				
21	მათემატიკა III (V-VI კლ)	5	არჩევითი	50	67	8	მათემატიკა I , II						5				
22	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ისტორია	5	არჩევითი	50	70	5	ხელოვნების ისტორია						5				
23	მუსიკის თეორიული საკითხები	5	არჩევითი	50	70	5							5				
24	საქართველოს ისტორია II	5	სავალდებულო	50	70	5	საქართველოს ისტორია I				5						

მასწავლებლის მომზადების მოდული 110 კრედიტი, სავალდებულო 90, არჩევითი 15

25	თანამედროვე გამოწვევები მასწავლებლის პროფესიაში	5	სავალდებულო	50	70	5		5									
26	ზოგადი პედაგოგიკა	5	სავალდებულო	50	70	5		5									
27	ქართული პედაგოგიკის ისტორია	5	სავალდებულო	50	70	5	ზოგადი პედაგოგიკა					5					
28	სასწავლო გარემო რემედიაცია	5	სავალდებულო	50	70	5	ზოგადი პედაგოგიკა								5		
29	ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის შეფასების, გაგების მეთოდები	5	სავალდებულო	50	70	5					5						
30	სოციალური პედაგოგიკა	5	სავალდებულო	50	70	5	ზოგადი პედაგოგიკა							5			
31	მედია განათლება	5	სავალდებულო	50	65	10	სოციალური პედაგოგიკა										5
32	ინტერკულტურული განათლება	5	სავალდებულო	50	65	10											5
33	მშვიდობის პედაგოგიკა (ადამიანის ბავშვის უფლებები)	5	სავალდებულო	50	70	5										5	
34	პიროვნების განვითარების თეორიები	5	სავალდებულო	50	70	5	ზოგადი ფსიქოლოგია		5								
35	სასკოლო ჰიგიენა და უსაფრთხოება	5	სავალდებულო	50	70	5											5
36	ბავშვის სწავლისათვის მომზადება	5	სავალდებულო	50	70	5	ზოგადი პედაგოგიკა.									5	
37	კლასის დამრიგებლის საქმიანობის მეთოდოლოგია	5	სავალდებულო	50	70	5	ზოგადი პედაგოგიკა				5						
38	ინკლუზიური განათლება	10	სავალდებულო	100	140	10									10		

			ბულო															
39	მეტყველების კულტურა	5	არჩევითი	50	70	5												5
40	ქართულის სწავლების მეთოდის I (I კლასი)	5	სავალდებულო	50	65	10	ქართული ენა, ფოლკლორი საბავშვო ლიტერატურა											5
41	ქართულის სწავლების მეთოდის II (II - IV კლასები)	5	სავალდებულო	60	57	8	ქართული ენის სწავლების მეთოდის I											5
42	მათემატიკის სწავლების მეთოდის I (I - IV კლასები)	5	სავალდებულო	50	70	5	მათემატიკა I											5
43	ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდის I (I - IV კლასები)	5	სავალდებულო	50	70	5	ბუნებისმეტყველება I											5
44	ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდის III (V - VI კლასები)	5	არჩევითი	50	65	10	ქართული ენის სწავლების მეთოდის I, II											5
45	მათემატიკის სწავლების მეთოდის II (V - VI კლასები)	5	არჩევითი	50	70	5	მათემატიკა II											5
46	კვლევა-ძიება ბუნებისმეტყველებაში სწავლების მეთოდის II. (V - VI კლასები)	5	არჩევითი	50	70	5	ბუნებისმეტყველება II. ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდის II											5
47	"ჩვენი საქართველოს" სწავლების მეთოდის V - VI კლასები	5	არჩევითი	50	70	5	საქართველოს ისტორია I, II											5
48	" მე და საზოგადოების" სწავლების მეთოდის III - IV კლასებში	5	არჩევითი	50	70	5												5

54	სასკოლო პრაქტიკა III. კლასის დამრიგებლის საქმიანობასა და სხვადასხვა აქტივობების შესრულებაზე დაკვირვება	5	სავალდებულო	20	20	25	48	12	კლასის დამრიგებლის საქმიანობის მეთოდოლოგია 5						5				
55	სასკოლო პრაქტიკა IV სასწავლო პროცესზე დაკვირვება	5	სავალდებულო	10	80		25	10	პრაქტიკა I , II						5				
56	სასკოლო პრაქტიკა V დამოუკიდებელი პრაქტიკა ქართულ ენასა და ლიტერატურაში	5	სავალდებულო	15		75	25	10	ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია I , II							5			
57	სასკოლო პრაქტიკა VI დამოუკიდებელი პრაქტიკა მათემატიკაში	5	სავალდებულო	15		75	25	10	მათემატიკის სწავლების მეთოდოლოგია I , II								5		
58	სასკოლო პრაქტიკა VII დამოუკიდებელი პრაქტიკა უნებისმეტყველებაში	3	სავალდებულო	6		45	15	9	ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდოლოგია I , II									3	
59	სასკოლო პრაქტიკა VIII. დამოუკიდებელი პრაქტიკა "ჩვენი საქართველოს" და "მე და საზოგადოებაში"	2	არჩევითი	4		32	10	4	"ჩვენი საქართველოს" სწავლების მეთოდოლოგია. "მე და საზოგადოების" სწავლების მეთოდოლოგია									2	
60	სასკოლო პრაქტიკა VIII. დამოუკიდებელი პრაქტიკა სახვით და გამოყენებით	2	არჩევითი	2		30	13	5	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების									2	

	ხელოვნებაში								მეთოდика								
61	სასკოლო პრაქტიკა VIII დამოუკიდებელი პრაქტიკა მუსიკაში	2	არჩევითი	4	30	10	6		მუსიკის სწავლების მეთოდика I-IV კლასები								2

პრაქტიკის კვლევის მოდული 30 კრედიტი																		
N	სასწავლო კურსები	ESTS კრედიტები	სტატუსი	სტუდენტის სამუშაო დრო საათებში			წინაპირობა	სემესტრები										
				სააუდიტორიო	დამოუკიდებელი მუშაობა	შეფასება		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	
62	უახლესი კვლევები განათლებაში	5	სავალდებულო	50	70	5										5		
63	პედაგოგიური კვლევის მეთოდები	5	სავალდებულო	60	60	5				5								
64	სამაგისტრო ნაშრომი	20	სავალდებულო	120	360	20	სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვებას არეგულირებს სასწ. პროცესის მარეგულირებელი წესი										10	10
								30	30	30	30	30	30	30	30	30	30	